



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N40

2018 წლის 23 მარტი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 89-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თანახმად დანართისა;
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი

მიმოხილვა
2017 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის
ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ

I. ბიუჯეტის შემოსავლების მიმოხილვა ძირითადი
კატეგორიების მიხედვით

შემოსულობების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან
<i>გადასახადები</i>	5 050 000	4 824 791	-225 209
<i>ა) საშემოსავლო გადასახადი</i>	1 150 000	1 829 672	679 672
<i>ბ) გადასახადი ქონებაზე მათ შორის</i>	3 900 000	2 995 119	-904 881
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 545 500	2 402 254	-1 143 246
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		-211 883	-211 883
ფიზიკურ პირებზე ქონება (გარდა მიწისა)	30 500	105 125	74 625
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	40 000	106 092	66 092
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	284 000	593 530	309 530

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წლიური შემოსულობების გეგმა გადასახადების ნაწილში შეადგენდა 5 050 000 ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 4 824 791 ლარი ანუ 225209 ლარით ნაკლები; ცალკეული სახეების მიხედვით შემოსავლები ასე გადანაწილდა: საშემოსავლო გადასახადის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა 1 150 000 ლარით, სულ წლიური შემოსავალი შეადგენს 1 829 672 ლარს, წლიური გეგმის გადაჭარბებაა 679 672 ლარი. წლიური შემოსავლის გეგმა ქონების გადასახადის სახეში სულ შეადგენდა 3 900 000 ლარს, ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 2 995 119 ლარი, შესრულებას დააკლდა 904 881 ლარი. მ/შორის: საწარმოთა ქონების გადასახადში (გარდა მიწისა) შესრულებამ შეადგინა 2 190 371 ლარი, შემოსავლებს დააკლდა 1 355 129 ლარი; ქონების გადასახადში მიწაზე სულ ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 804 747 ლარი შესრულებამ შეადგინა გადაჭარბება თანხით 450 247 ლარი;

სხვა შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტის წლიური გეგმა განისაზღვრა 214 325 ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 2 500 224 ლარი ანუ წლიური გეგმის მაჩვენებელზე 356 971 ლარით მეტი. სხვა შემოსავლებს ცალკეული სახეების მიხედვით თუ განვიხილავთ შესრულების მაჩვენებლები სახეებში შემდეგნაირად გადანაწილდა :

შემოსულობების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან	%
<i>სხვა შემოსავლები</i>	2 143 253	2 500 224	356 971	116,7
<i>I. შემოსავლები საკუთრებიდან</i>	526061	459143	-66918	
<i>პროცენტები</i>	169580	122766	-46814	
<i>რენტა</i>	356 481	336377	-20104	
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	50 000	84112	34112	
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	306 481	252266	-54215	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	439 282	671661	232 379	
ადმინისტრაციული გადასახდელები და მოსაკრებლები	404 282	591069	186 787	
სანებართვო მოსაკრებელი	114282	194001		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		40		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		129 072		
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	290 000	267956	-22 044	
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	35 000	80 591	45 591	
სანქციები (ჯარიმები, საურავები)	1 000000	1 086028	86 028	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	177 910	283392	105 482	

პროცენტები - დარიცხული პროცენტების სახეში დაიგეგმა 169580 ლარი ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 122766 ლარი, მაჩვენებლის შესრულებას დააკლდა 46814 ლარი.

რენტა - სულ წლიური ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 356481 ლარი, ფაქტიური შემოსვლა შეადგენს 336377 ლარს ანუ შესაბამის პერიოდში აღნიშნულმა მაჩვენებელს დააკლდა 20104 ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის სახეში დაგეგმილი იყო 50 000 ლარი, ფაქტიურად ბიუჯეტში შემოვიდა 54105 ლარი ანუ გადაჭარბებაა 4105 ლარით; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან სახეში დაიგეგმა 306481 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 252266 ლარი ანუ შემოსავალს დააკლდა 54215 ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელების წლიური გეგმა განისაზღვრა 404282 ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 591069 ლარი 186787 ლარით მეტი. მათ შორის სანებართვო მოსაკრებლის სახეში დაიგეგმა 114282 ლარი, ფაქტიურად შემოსულია 194001 ლარი ანუ 79719 ლარით მეტი.


მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის სახეში დაგეგმილი იყო 290000 ლარით, ფაქტიურმა შემოსვლამ შეადგინა 267956 ლარი. (მიუხედავად იმისა რომ დაგეგმვა განხორციელდა ფაქტიური შემოსავლების ანალიზის გათვალისწინებით გეგმის შესრულებას დააკლდა 22 044 ლარი. ხშირ შემთხვევაში დავალიანებების გადახდა ხდება მომდევნო წლის განმავლობაში, ასევე გადასახადის დროულად გადახდის ხელშეწყობის ფაქტორს ისიც წარმოადგენს,

რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაგროვილი საგადასახადო დავალიანებების გამო გააჩნიათ ანგარიშზე ყადაღა).

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახეში შემოსულია 129 072 ლარი;


ჯარიმები სანქციები და საურავების მოსაკრებლის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა სულ 1 000 000 ლარით, ფაქტიურად სულ შემოსულია 1086028 ლარი ანუ 86028 ლარით მეტი .

ფაქტიური ადგილობრივი შემოსავლები გეგმასთან მიმართებაში




არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 26252 ლარი, მათ შორის შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან 19785 ლარი, შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 6467 ლარი.

ფაქტიური შემოსავლები მთლიან შემოსავლებთან მიმართებაში



სულ ფაქტიური შემოსულობების პროცენტული გადანაწილება



გადასახდელები: (თანახმად დანართისა)

შემოსავლებით, გრანტებითა და დაზუსტებებით 2017 წლის განმავლობაში მიღებული თანხებით სულ გაწეულია 35,054910 ლარის ხარჯი.

დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში 2017 წელში დაფინანსებებზე გაწეული მთლიანი ხარჯები 35 054 910 ლარი, წლიური დაზუსტებული გადასახდელების 95,4%. -ს შეადგენს.

2017 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ფულადი სახრების კორექტირებული ნაშთი შედგენს 2 258 764 ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის 710414 ლარს.

ა) გადასახდელები სფეროების მიხედვით

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას მოხმარდა 3 654 114 ლარი, საერთო საბიუჯეტო ხარჯის 10,42% .ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში პერიოდში დაგეგმილი თანხების 97,8%. აღნიშნული სფეროს ხარჯები მოიცავს ვალთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯებსაც, კერძოდ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით განხორციელებულ პროექტებზე წარმოქმნილ ვალდებულებების დაფარვის ხარჯებს, რაც აღნიშნული სფეროს ხარჯების 44,8 პროცენტს შეადგენს.

თავდაცვის სფეროს მოხმარდა 107631 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 0,3%, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისებამ შეადგინა დაგეგმილი თანხების 97,6%.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სულ გახარჯულია 9239917 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 26,4 %, საბიუჯეტო თანხების ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 94,8 პროცენტი. აღნიშნულ სფეროში ხარჯების 97,8% შეადგინა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ინფრასტრუქტურულმა ღონისძიებებმა. კერძოდ განხორციელდა ცალკეული მსხვილი პროექტები, როგორცაა:

➤ დასრულდა ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის ტროტუარების დარჩენილი ნაწილის მოწყობა - პროექტის ღირებულებამ მთლიანად შეადგინა 1714180 ლარი; რომლის ფარგლებში განხორციელდა ვერულიძის ქუჩის გადაკვეთიდან გორგილამის ქუჩის გადაკვეთამდე (მარჯვენა და მარცხენა მხარეს) ტროტუარის მოწყობა. ტროტუარი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით; შშმ პირებისათვის მოეწყო ჩასასვლელი პანდუსები და უსინათლოებისათვის სპეციალური ბილიკი.

➤ განხორციელდა ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა- პროექტის I ეტაპის ღირებულებამ შეადგინა 687827 ლარი, რომლის ფარგლებში მოხდა ქ. ქობულეთში, სადგურიდან გორგილამის ქუჩის კვეთამდე არსებული ამორტიზირებული სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია და ახალის მოწყობა, ასევე მოხდა დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის იანვარში.

➤ დაიგეგმა და განხორციელდა ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის ცენტრალურ სასაფლაომდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობა - პროექტის მე-2 ეტაპის ღირებულებამ შეადგინა 754761 ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა რუსთაველის ქუჩის (სასაფლაოს უბნის) სავალი გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების დეკორატიული ფილებით მოპირკეთება, მოეწყო სანიაღვრე სისტემა. ასევე შშმ პირთათვის მოეწყო ჩასასვლელი პანდუსები და უსინათლოებისათვის სპეციალური ბილიკი.

- განხორციელდა ქ. ქობულეთში, გელაურის უბნის კეთილმოწყობა - პროექტის განხორციელებისათვის დაიხარჯა 1 541230 ლარი; რომლის ფარგლებში განხორციელდა ვაჟა ფშაველას; პოპოვისა და პუშკინის ქუჩების მოწესრიგების სამუშაოები, კერძოდ: მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა; ტროტუარები და სავალი გზის სავალ ნაწილი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, შეიქმნა ხელმისაწვდომი გარემო შშმ პირებისათვის.
- განხორციელდა ქ. ქობულეთში, სასაფლაოსთან აღმაშენებლის II შესახვევის რეაბილიტაცია - პროექტის განხორციელებისათვის დაიხარჯა 273489 ლარი, რომლის ფარგლებში სანიაღვრე სისტემა მოწესრიგდა; ტროტუარები და სავალი გზის სავალი ნაწილი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით. ასევე პროექტი ითვალისწინებდა შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას-მოეწყო ჩასასვლელი პანდუსები და უსინათლოებისათვის სპეციალური ბილიკი.
- განხორციელდა ქ. ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევის კეთილმოწყობა - ღონისძიების განხორციელებისათვის 2017 წელს დაიხარჯა 740759 ლარი; რომლის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე სისტემა; მოპირკეთდა ტროტუარი დეკორატიული ფილებით; გზის სავალ ნაწილზე ასფალტო/ბეტონის საფარი დაიგო და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო შეიქმნა.
- განხორციელდა ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის, გაზკანტორის და ყოფილი სანდასუფთავების) შესასვლელების კეთილმოწყობა - პროექტის ღირებულებამ შეადგინა 191 708,07 ლარი; რომლის ფარგლებში მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა; გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტო/ბეტონის საფარი, ტროტუარი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით და შშმ პირებისთვის მოეწყო პანდუსები და სპეციალური ბილიკი.
- განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპირომდე გადასასვლელების კეთილმოწყობა (#660-ის მოპირდაპირედ ეკო-პლიაჟის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობა; #514-ის მოპირდაპირედ; #520-ის მოპირდაპირედ; #580-ის მოპირდაპირედ; #620-ის მოპირდაპირედ) თანხით 731287 ლარი; გადასასვლელების კეთილმოწყობა (N660-ის მოპირდაპირედ ეკო-პლიაჟის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობა; N514-ის მოპირდაპირედ; N520-ის მოპირდაპირედ; N580-ის მოპირდაპირედ; N620-ის მოპირდაპირედ) - 729 382,67 ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა გადასასვლელების კეთილმოწყობა: ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი N660-ის მოპირდაპირედ ეკო-პლიაჟის ტერიტორიაზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკები. მოეწყო ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპირომდე გადასასვლელი N514-ის მოპირდაპირედ და N520-ის მოპირდაპირედ და გადასასვლელი N580-ის მოპირდაპირედ; გადასასვლელი N620-ის მოპირდაპირედ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკებისა და გადასასვლელების კეთილმოწყობითი სამუშაოები: მოეწყო სავალი ნაწილი დეკორატიული ფილებით.
- განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდუოკამერების შექმნა/მონტაჟი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდება სულ 30 ცალი ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ანალიტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდუო სამეთვალყურეო კამერა, რომეზედაც დაჯარხულია 107850 ლარი. ინსტალაციის განხორციელება დასრულდება 2018 წელს.
- განხორციელდა პროექტი - ქ. ქობულეთში ნინოშვილის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯა სულ 171466 ლარი. პროექტის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე სისტემა, გზის სავალ ნაწილზე დაიგო დეკორატიული ფილები და ტროტუარებიც მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.
- განხორციელდა პროექტი ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ჩიხი N786 ბ-ს მიმდებარედ (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობა, რომლის სამუშაოებზე დაიხარჯა 113 233 ლარი. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, ტროტუარები მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით და გზის სავალი ნაწილზე დაიგო ასფალტო ბეტონის საფარი;

- პროექტი -ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ჩიხი N644-ის მიმდებარედ (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის დაიხარჯა სულ 107 709 ლარი. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, ტროტუარები მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, ხოლო გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი.
- განხორციელდა ქ. ქობულეთში, გოგებაშვილის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის) კეთილმოწყობის სამუშაოები და ამ მიზნით დაიხარჯა 174 357 ლარი. პროექტის ფარგლებში მოხდა არსებული ამორტიზირებული ფილების დემონტაჟის სამუშაოების ჩატარება, მოეწყო სანიაღვრე სისტემა, ტროტუარი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, ხოლო გზის ნაწილზე დაიგო ასფალტო ბეტონის საფარი. ასევე გზის სავალის ნაწილზე მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი.
- დაფინანსდა ქ. ქობულეთში, ჯინჭარამის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის) კეთილმოწყობა თანხით - 140 434 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ამორტიზირებული ფილების დემონტაჟი სამუშაოები, მოეწყო სანიაღვრე სისტემა, ტროტუარი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით და გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტო ბეტონის საფარი. ასევე მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი. სამუშაოები დასრულდა 2018 წელს.
- განხორციელდა ქ. ქობულეთში, ლესელიძის ქუჩის (დარჩენილი ნაწილი, აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელი) კეთილმოწყობის სამუშაოები - განხორციელდა არსებული ამორტიზირებული ფილების დემონტაჟის სამუშაოები, სანიაღვრე სისტემის მოწყობა, ტროტუარისა და გზის სავალი ნაწილის მოპირკეთება დეკორატიული ფილებით, ასევე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობა. სულ გახარჯულია 159400 ლარი.
- განხორციელდა პროექტი ქ. ქობულეთში, ტაბიძის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის) კეთილმოწყობა თანხით 127 960 ლარი; განხორციელდა არსებული ამორტიზირებული ფილების დემონტაჟის სამუშაოები, მოეწყო სანიაღვრე სისტემა, ტროტუარი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით და გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტო ბეტონის საფარი. ასევე მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი.
- ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. N740-დან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები დაფინანსდა 55 198 ლარით, რომლის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე სისტემა და სავალი გზის სავალი ნაწილზე დაიგო ასფალტო ბეტონის საფარი.
- განხორციელდა დაბა ჩაქვში, რომპეტროლის მიმდებარედ და ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ქუჩის N832-836-ის (ყოფილი ფაკელის) მიმდებარედ ტროტუარის და აღმაშენებლის ქუჩა N307-ის მიმდებარედ თამარ მეფის ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები თანხით 52 200 ლარი; პროექტის ფარგლებში მოხდა დაბა ჩაქვში, რომპეტროლის მიმდებარედ და ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის N832-836 მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა დეკორატიული ფილებით, ხოლო ქ. ქობულეთში N307-ის მიმდებარედ მოეწყო თამარ მეფის ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი.
- განხორციელდა ქ. ქობულეთში განსათავსებლად მეტალოკონსტრუქციის მოსაცდელის შეძენა-მონტაჟის სამუშაოები, კერძოდ - 33 ერთეული მეტალოკონ სტრუქციის გამჭვირვალე მოსაცდელი განთავსდა ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირზე, რომელზეც სულ დაიხარჯა 372 800 ლარი.
- მოსაცდელის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, (სულ 11ერთეული) შემდეგ სოფლებშიც : წყავროკაში-1 ერთეული ახალი მოსაცდელი, ალამბარში-2ერთეული მოსაცდელი, ჭახათში-1ერთეული მოსაცდელი, ხალაში-1ერთეული; ჩაისუბანში-2 ერთეული; ქვედა აჭყვაში-2 ერთეული; გვარაში 2 ერთეული; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ქაქუთის ცენტრში არსებულ მოსაცდელს და მოეწყო

ქ.ქობულეთში მტს და კარიერის დაახლებაში აგურის მოსაცდელეები, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისათვის დახარჯულია სულ 36 661 ლარი;

➤ დაფინანსდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსაცდელეების (სოფლებში 11 ერთეული ახალი და დაბა ჩაქვში და სოფელ ციხისძირში აგურის მოსაცდელეების (2 ერთეული)) მოწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელეების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, შემდეგ სოფლებში: სოფ. კვირიკეში -3 ახალი მოსაცდელი, სოფ. ხალაში- 2 მოსაცდელი; სოფ. ლელვაში- 1 მოსაცდელი; სოფ. ბობოყვათში-2 მოსაცდელი; სოფ. ხუცუბანში - 2 მოსაცდელი; სოფ. საჩინოში -1 მოსაცდელი; დაბა ჩაქვში 1 აგურის მოსაცდელი და სოფელ ციხისძირში 1 აგურის მოსაცდელი მოეწყო, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა 35 405 ლარი.

➤ განხორციელდა ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩებზე შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ტროტუარებთან მისასვლელი შემადლებების მოწყობის სამუშაოებზე სულ დაიხარჯა 15 966 ლარი; პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა ხელმისაწვდომი გარემო შშმ პირებისათვის.

➤ ქ. ქობულეთში მოსაცდელეების ირგვლივ განხორციელდა ბეტონის დეკორატიული ფილების მოწყობა თანხით 9 360 ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდა 33 ცალი გამჭვირვალე მეტალოკონსტრუქციის მოსაცდელი, რომელთა მიმდებარე ტერიტორია მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.

➤ მდ. დეხვას და მდ კინტრიშის კალაპოტების გასწორხაზოვნება-29 053 ლარი, მდინარეების კალაპოტებმა შეიცვალა მიმართულება და სანაპირო ზოლი გაყოფილი იყო ორ ნაწილად და მოხდა კალაპოტების გასწორხაზოვნების სამუშაოების ჩატარება, ამ მიზნით დამატებით მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 5745 ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 28 ნოემბრის ბრძანება N250 საფუძველზე, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით შიდა საუბნო გზებზე ჩამოშლილი გრუნტის გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად გამოიყო და გაიხარჯა 32600 ლარი, აგრეთვე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან მ/წლის 28 სექტემბერსა და 2 ოქტომბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძლიერი წვიმის შედეგად მეწყერული პროცესების შედეგად დაზიანებული შიდა და ცენტრალური სასოფლო გზებზე სამუშაოების ჩასატარებლად გაიხარჯა 10325 ლარი.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული შიდა სასოფლო გზების მომანდაკების მიზნით ფრაქციული ღორღის შესყიდვაზე დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში დახარჯულია-46 500 ლარი.

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 22 დეკემბრის N 166 განკარგულება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივნისის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების - ფერდსამაგრი კედლების მშენებლობის სამუშაოებზე ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 402235 ლარი.

შედეგი: ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტებმა დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყო საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა. სტიქიით დაზიანებული ადგილებში დაზიანების პროცესების შეჩერებითი ღონისძიებების განხორციელება.

➤ გარემოს დაცვის ღონისძიებებს სულ ფაქტიურად მოხმარდა 5 167277 ლარი მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 14,7 პროცენტი, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისებამ შეადგინა 97,3 %. აღნიშნული სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სანიტარული

დასუფთავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს(55,6%), მ/შორის: ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავების ფუნქციონირების ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებსაც; განხორციელდა სპეცტექნიკის -ნაგავმზიდი მანქანის შექმნა (2 ცალი 6+1.1 მ³ ტევადობის; 2 ცალი 16+1.8 მ³)- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკა მოძველებულია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს გამართულ მუშაობას, რამაც პრობლემები შექმნა ნარჩენების გატანაზე (განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე); შესაბამისად შექმნილი იქნა 4 ცალი ნაგავმზიდი მანქანა, ასევე შექმნილია 1 ცალი ავტოთვიომცლელი და 1 ცალი კომბინირებული ავტომობილი, რომელზედაც სულ 2017 წელს დაიხარჯა 799 400 ლარი. ხოლო აღნიშნული სფეროს 44,4 პროცენტი კი გაიხარჯა სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობისა და მოწესრიგების ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე. კერძოდ:

- ქალაქ ქობულეთში კარიერის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და მისი ელემენტების სამშენებლო სამუშაოების (III ეტაპი) - პროექტის მე-3 ეტაპის განხორციელებისათვის გაიხარჯა 1 500838 ლარი, რაც მოიცავდა გელაურის, „მტს“ და კარიერის საკანალიზაციო სისტემის მოწყობას; გადამქაჩი სადგურების მოწყობას, შიდა მაგისტრალისა და აბონენტების დაერთების სამუშაოებს. 2015-2016 წლებში აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა გელაურისა და მტს დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და 3 გადამქაჩი სადგურის მოწყობის სამუშაოები, რომლიდანაც მოხდა ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო მაგისტრალზე დაერთება. ხოლო მე-3 ეტაპი გულისხმობდა კარიერის დასახლების კანალიზაციის სისტემის მოწყობას, ასევე გადამქაჩი სადგურის მოწყობა, რომლითაც მოხდა ცენტრალურ საკანალიზაციო მაგისტრალზე დაერთება.
- განხორციელდა ქ.ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები თანხით 383214 ლარი, პროექტით განხორციელდა თამარ მეფის სანაპიროზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის, ცენტრალური მაგისტრალის, საკანალიზაციო მიმღები და სააბონენტო ჭების მოწყობის სამუშაოები.
- განხორციელდა კინტრიშის I სანაპიროს საკანალიზაციო ქსელის მოწყობა 87338 ლარით, პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და მოხდა დაერთება გელაურში არსებულ სატუმბო სადგურზე.
- ქ. ქობულეთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (კომახიდის N15, N13; აღმაშენებლის N1, N16, რუსთაველის N140, N140ა, N140ბ (კორპუსი1,2,3), N160ა, 162გ; აბაშიძის N2 ,N4 ,N6) ეზოებში განხორციელდა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და მაგისტრალურ ხაზზე დაერთების სამუშაოები,რისთვისაც დაიხარჯა სულ 96381 ლარი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ამორტიზირებული შიდა საკანალიზაციო მაგისტრალის შეცვლა , მოეწყო მიმღები ჭების , რომლის დაერთება მოხდა ცენტრალურ მაგისტრალზე;
- ქალაქ ქობულეთში "მტს"დასახლებაში (კლდიაშვილის ქუჩაზე დარჩენილი ნაწილის) საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა - 58077 ლარი. პროექტმა დააფინანსა ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობის, მაგისტრალური ხაზის , ასევე მიმღები და სააბონენტო ჭების მოწყობის სამუშაოები.
- ქ. ქობულეთში ლერმონტოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობისა და ქ. ქობულეთში მემედ აბაშიძის N82 -ის მიმდებარედ სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოებზე სულ დაიხარჯა- 31 624 ლარი; განხორციელდა არსებული ღია სანიაღვრე არხის შეცვლა დახურული სანიაღვრე სისტემით.
- დაფინანსდა დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები თანხით - 25100 ლარი, პროექტის ფარგლებში მოხდა ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობა.

➤ დაბა ჩაქვი, ბათუმის ქუჩა N18-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის საკანალიზაციო შამბოს მოწყობის სამუშაოებზე და დაბა ჩაქვში, ბათუმის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოებისათვის გაიხარჯა შესაბამისად- 30150 ლარი და 35085ლარი. პროექტის ფარგლებში მოხდა შესაბამისად ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლისათვის საკანალიზაციო შამბოს მოწყობა .განხორციელდა 200 მ სანიაღვრე სისტემის შეცვლა და სათვალთვალო მიმღები ჭების მოწყობა.

➤ საბინაო და კომუნალური სფეროს ღონისძიებების სახით სულ გახარჯულია 9070958 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 25,8 პროცენტი, ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 94,7 პროცენტი. სფეროს ხარჯები ძირითადად მოიცავს კომუნალური სფეროს ,წყალმომარაგების,გარე განათების ხარჯებს. კერძოდ: საბინაო კომუნალურ სფეროს ხარჯებს მოხმარდა 21,7%, წყალმომარაგებას აღნიშნული სფეროს 61,2%,განათებას 7,6%.განხორციელდა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები როგორცაა: საბინაო კომუნალურ ნაწილში:

➤ დაფინანსდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები თანხით 515585 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვა/ რეაბილიტაცია. (მოეწყო დაბა ოჩხამური, ყაზბეგის ქ. N4-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი , შეძენილი იქნა ქ. ქობულეთში, აბაშიძის ქ. N12-ში არსებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფერდობისათვის პროფილირებული ფერადი თუნუქი და სხვა მასალები, ხოლო სამუშაოები შესრულებული იქნა ამხანაგობის მიერ.) აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N195 -ის ფარგლებში ფაქიურად 45930 ლარი გაიხარჯა დაბა ოჩხამურში აღმაშენებლის ქ N57-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ძლიერი ქარისაგან დაზიანებული სახურავის აღდგენის მიზნით.

➤ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში (8 სადარბაზო) ლიფტების მოწყობის სამუშაოები თანხით 457 532 ლარი, დასრულებულია 5 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში (8 სადარბაზო) ახალი ლიფტების მოწყობის სამუშაოები.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაციისათვის (9 აპრილის, აღმაშენებლის N290-ის მოპირდაპირედ, ლესელიძის ქუჩის) და ახალი სკვერის მოწყობისათვის (აღმაშენებლის გამზირი 700-ის მოპირდაპირედ)- სულ გაიხარჯა 503643 ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა :ქ. ქობულეთში 9 აპრილის სკვერის რეაბილიტაცია;ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის N290-ის მოპირდაპირედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია;ქ. ქობულეთში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე სკვერის რეაბილიტაცია; ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირზე N700-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა. სკვერებში განთავსდა დეკორატიული სკამები და ურნები; მოეწყო დეკორატიული განათება.

➤ განხორციელდა ქ.ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. N99-ში მდებარე არსებული სკვერის რეაბილიტაცია თანხით 21196 ლარი. არსებულ სკვერში მოხდა ბილიკების მოწყობა დეკორატიული ფილებით; შეიცვალა ბორდიურები; მოეწყო მწვანე საფარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკვერში განლაგებულ სკამებს.

➤ სოფელ მუხაესტატეში არსებულ სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობისა და დაბა ჩაქვში, მე-7 რაიონში საბავშვო ატრაქციონების და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის სულ გაიხარჯა - 48 337ლარი, პროექტის ფარგლებში მუხაესტატეში არსებულ სკვერში განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, ასევე დაბა ჩაქვში მოეწყო

ატრაქციონები და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია ; მოეწყო მწვანე საფარი და ტერიტორია მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.

➤ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თამარ მეფის სანაპიროზე და არსებული სკვერებისათვის მოხდა საპარკე სკამების შექმნა- 28 350 ლარის ოდენობით, პროექტის ფარგლებში მოხდა 150 ცალი საპარკე სკამის შექმნა , რომელიც განთავსებულია სანაპირო ზოლში და სკვერებში.

➤ ქ.ქობულეთში რუსთაველის ქ.№26-ში მდებარე შენობის (მუნიციპალური უფასო სასადილო) სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გაიხარჯა 22 871 ლარი; პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა შენობას: ტიხრები მოეწყო; რეაბილიტაცია ჩატარდა სველ წერტილებს; მოეწყო კერამიკული ფილები და ნაწილობრივ შეიცვალა კარ-ფანჯრები.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოების და ამბულატორიის შენობის (სოფელ ბობოყვათში) რეაბილიტაციისათვის გახარჯულია 23 550 ლარი, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა მუნიციპალიტეტში არსებულ საპირფარეშოებს; შეიცვალა წყალ-გაყვანილობა, ხოლო ამბულატორიის შენობაში მოწესრიგდა სველი წერტილები, ჩატარებულია სამღებრო სამუშაოებიც.

➤ დაბა ოჩხამურში, ქეთევან წამებულის №1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის 2017 წელს გათვალისწინებული იყო და დაფინანსდა 120 000 ლარი; სამუშაოების მთლიანი ღირებულებაა 308 721 ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდება ამორტიზირებული შენობის დემონტაჟის და ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოები 2017 წელს განხორციელდა არსებული ამორტიზირებული შენობის დემონტაჟის სამუშაოები, მოხდა საძირკვლისა და კოლონების მოწყობა. გარდამავალი პროექტის სამუშაოები დასრულდება 2018 წელს.

➤ ქალაქ ქობულეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობისათვის - 2017 წლის ღირებულება განისაზღვრა და დაფინანსებულია 80 000 ლარით, პროექტი გულისხმობს თანამედროვე ტიპის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობას. პროექტი გარდამავალია სამუშაოები დასრულდება 2018 წელს.

➤ ქ.ქობულეთში თავისუფლების ქუჩაზე ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოეწობის პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, სამუშაოების განხორციელებაზე დაიხარჯა 37 012 ლარი.

➤ სოფელ ხუცუბანში, შემფუთვი ქარხნისა და ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოების კეთილმოეწობისათვის სულ გახარჯულია - 99170 ლარი, მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.

წყალმომარაგების ნაწილში:

საბინაო კომუნალური სფეროს ხარჯების 61,2 % გაიხარჯა წყალმომარაგებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაციის ღონისძიებებში. წლიური გეგმის ათვისება აღნიშნულ ორგანიზაციებში შესაბამისად შეადგენს 93,4 პროცენტს.

განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები:

➤ დასრულდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა -იგი 2016-2017 წლების გარდამავალი პროექტია. სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ სულ შეადგინა 1 129108 ლარი. მ/შორის 2017წლის დაფინანსებამ შეადგინა 162690 ლარი. პროექტის ფარგლებში მოეწყო მაგისტრალური და შიდა მაგისტრალური ხაზები. მოხდა დაქსელვა და აბონენტების გამრიცხველიანება, სათავე ნაგებობაზე მოეწყო თანამედროვე ტიპის წყლის გაუსნებელყოფის დანადგარი.

➤ დასრულდა ქაქუთის წყალსადენის სისტემის მოწყობის 2016-2017 წლების გარდამავალი პროექტი. სულ გაიხარჯა -1 229 963 ლარი. 2017 წლის დაფინანსებაა 124542 ლარი; პროექტის ფარგლებში მოეწყო მაგისტრალური და შიდა მაგისტრალური ხაზები. მოხდა დაქსელვა და აბონენტების გამრიცხველიანება, სათავე ნაგებობაზე მოეყო თანამედრო ტიპის წყლის გაუსნებელყოფის დანადგარი.

➤ ქ. ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში წყალსადენის სისტემის მოწყობა - პროექტის განხორციელებისათვის დაიხარჯა 288973 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა წყლისა და კანალიზაციის სისტემის მოწესრიგებას, 2016 წელს აღნიშნული მიმართულებით მოხდა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ხოლო 2017 წელს გაგრძელდა პროექტი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების ნაწილში. მოხდა ჩოლოქის დასახლებაში ახალი წყლის სისტემის და სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა. წყლით უზრუნველყოფილია 150 აბონენტი.

➤ დასრულდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბნში წყალსადენის სისტემის (პირველი ეტაპი სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის) მოწყობა- გარდამავალი პროექტი 2016-2017წწ. სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ სულ შეადგინა შეადგინა 906607 ლარი. მ/შორის 2017 წლის დაფინანსებაა 358939 ლარი; განხორციელდა სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, მაგისტრალური ხაზის მოწყობა და ორი 500 მ³ რეზერვუარის მოწყობა.

➤ ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს სასმელ-სამეურნეო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (წყლის სისტემის მოწყობა და გამრიცხველიანება)- გარდამავალი პროექტი 2016-2017წწ. სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 223 923 ლარი. მ/შორის 2017 წლის დაფინანსებაა 29877 ლარი; აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა თამარ მეფის ქუჩაზე წყლის მაგისტრალური ხაზის მოწყობა, დაქსელვის და გამრიცხველიანების სამუშაოები.

➤ განხორციელდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის მოწყობა (II ეტაპი) - რისთვისაც დაიხარჯა - 1 390579 ლარი; რომელიც გულისხმობდა წყლის სათავე ნაგებობის; რეზერვუარების; შიდა მაგისტრალისა და დაქსელვის სამუშაოების განხორციელებას. 2016 წელს პროექტის ფარგლებში მოეწყო სათავე ნაგებობა, 2 ც 500 მ³ ტევადობის რეზერვუარი, ხოლო 2017 წელს გაგრძელდა ცენტრალური მაგისტრალის; შიდა მაგისტრალისა და 2 ც 300მ³ რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ წყლით უზრუნველყოფილია 800-მდე ოჯახი.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლედვას წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (II ეტაპი) სამუშაოებისათვის დაიხარჯა სულ -1 123197 ლარი. პროექტი ითვალისწინებდა 60 მ³ და 160 მ³ წყლის რეზერვუარების მოწყობას; წყლის მიმღები საბადოს; შიდა მაგისტრალის რეაბილიტაციასა და გამრიცხველიანებას. 2016 წელს პროექტის ფარგლებში მოეწყო 60 მ³ და 160 მ³ წყლის რეზერვუარი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბადოს და მოეწყო ცენტრალური მაგისტრალი. 2017 წელს გაგრძელდა შიდა მაგისტრალის მოწყობა; ქვიშდამჭერისა და საფილტრის რეაბილიტაცია; შიდა ქსელის გამრიცხველიანება. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ წყლით უზრუნველყოფილია 500-მდე ოჯახი.

➤ სოფ. ციხისძირის წყალსადენზე დებეტის გაზრდის სამუშაოებისათვის დაიხარჯა - 106848 ლარი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყლის სათავე ნაგებობას; წყლის საფილტრისა და სალექარს, ასევე მოხდა წყლის გაუსნებელყოფა თანამედროვე ტიპის ჰიპოქლორიდის აპარატურით.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საჩინოში, ზედა აჭყვაში წყალსადენის სათავე ნაგებობის, რეზერვუარისა და ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია (II ეტაპი)- 2017 წელს დაიხარჯა 381345 ლარი. პროექტი ითვალისწინებდა საჩინოს თემში სოფ. საჩინოში, ქვედა აჭყვასა და ზედა აჭყვაში ახალი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებს, რომლის ფარგლებში 2016 წელს მოხდა სოფ. საჩინოში და ქვედა აჭყვაში წყლის სათავე ნაგებობის

რეაბილიტაცია, მოეწყო 160 მ³ წყლის რეზერვუარი; ცენტრალური და შიდა მაგისტრალისა და დაქსელვის სამუშაოები, 2017 წელს გაგრძელდა ზედა აჭყვამი წყლის სათავე ნაგებობის, ცენტრალური და შიდა მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები, გამრიცხველიანება და წყლის საფილტრისა და სალექარის მოწყობა. ასევე მოხდა წყლის გაუსნებელყოფა თანამედროვე ტიპის ჰიპოქლორიდის აპარატურით. პროექტის დასრულების შემდეგ წელით უზრუნველყოფილია დაახლოებით 1000 ოჯახი.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სატუმბო სადგურების 7 ერთეული ტუმბოს შექმენა/მონტაჟისათვის დაიხარჯა 172 791 ლარი. ბოლო ორი წლის განმავლობაში ქალაქის დარჩენილი ნაწილი ჩართული იქნა ცენტრალური საკანალიზაციო ქსელში, აქედან გამომდინარე საჭირო გახდა სატუმბო სადგურების გაძლიერება, შესაბამისად შექმნილი იქნა 7 ტუმბო რომელიც განთავსდა N1; N2 და ნულოვან სატუმბო სადგურებში.

➤ ქალაქ ქობულეთში წყალსადენის სათავე ნაგებობაზე ახალი ჭაბურღილების (ოთხი ერთეული) მოწყობა- წყლის დებეტის გაზრდის მიზნით მოეწყო 4 ახალი ჭაბურღილები ღირებულებით 316524 ლარი.

➤ დაფინანსდა დაბა ოჩხამურში ორი ერთეული სასმელი წყლის საქაჩი ტუმბოს მოწოდება-მონტაჟი- 47 382 ლარით. წყლის დებეტის გაზრდის მიზნით მოეწყო 2 წყლის საქაჩი ტუმბო.

➤ სოფელ მუხაესტატეს წყალსადენის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების - პროექტი გულისხმობდა წყალსადენის რეზერვუარიდან სოფლის გამანაწილებელ კვანძამდე წყალსადენის მაგისტრალური ხაზის შეცვლას, რომლის განხორციელებაზე დახარჯულია - 47 967 ლარი.

➤ სოფელ ციხისძირის წყალსადენის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების ფარგლებში მოხდება 5 კმ-მდე წყლის მაგისტრალური ხაზის შეცვლა, 2017 წელს მოხდა 2 კმ-მდე წყლის მაგისტრალური ხაზის შეცვლა, რომლისთვისაც (2017 წელს) დაიხარჯა 165 883 ლარი. პროექტი გარდამავალია, სამუშაოები დასრულდება 2018 წელს და ამ მიზნით გამოყოფილია 246123 ლარი.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენებისათვის, ჩამირული ტუმბოს, სხვადასხვა დიამეტრის მილების და ფასონური ნაწილების შექმენისათვის დახარჯულია- 54 225 ლარი.

➤ ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე სასმელი წყლის (სოკობით) ფანტანის მოწყობაზე გაიხარჯა -5 501 ლარი, ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო სულ 6 ერთეული სასმელი წყლის ფანტანი.

➤ სოფელ ქვედა აჭყვამი არსებული წყლის რეზერვუარისათვის ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის გაიხარჯა - 6139 ლარი, ქვ. აჭყვამი არსებული 160 მ³ წყლის რეზერვუარის მიმდებარედ განვითარდა მეწყრული პროცესი, რისთვისაც საჭირო გახდა ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოების ჩატარება.

➤ გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები საბინაო კომუნალური სფეროს ხარჯების 8,4% -ია და სულ 765366 ლარია. იგი მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებული გარე განათების წერტის ექსპლოატაციის ხარჯს, მოხმარებული ელექტროენერჯისა და ინფრასტრუქტურულ პროექტის ხარჯს- ჩაქვის ცენტრიდან სასტუმრო „ოაზისა“-მდე და მიმდებარე ტერიტორიების გარე განათების მოწყობის სამუშაოებს (ამ უკანასკნელზე გაიხარჯა 72 499,94 ლარი).

➤ საბინაო კომუნალური სფეროს ხარჯების დაახლოებით 8,7% გაიხარჯა ორგანიზაციების ადმინისტრაციული ხარჯებზე, გაიხარჯა საცხოვრებელი ბინების სადუბინფექციო ღონისძიებებზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმენასა და

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურის

ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობის გარდამავალ ღონისძიებებზე (კერძოდ: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სულ გაიხარჯა 260282 ლარი, ათვისება განხორციელდა იგივე მიზნით(სოფლებში ბეტონის დასხმის ღონისძიება და იგივე ხელშეკრულების ფარგლებში.)

➤ ჯანმრთელობის დაცვას სულ მოხმარდა 44173 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 1,3 პროცენტი. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 88,3%. სულ აღნიშნული მიმართულებით მოქმედებდა პროგრამები, კერძოდ:

➤ ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა როგორც ვიცით ითვალისწინებს ეპილევსიით და მეორადი ეპილევსიური სინდრომით (მეორადად გამოვლინებული ეპილევსიური კრუნჩხვა, რომელიც საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას) დაავადებული 300 ბენეფიციარის, ბრონქული ასთმით დაავადებული 150 ბენეფიციარის, მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული 900 ბენეფიციარის და პარკინსონით დაავადებული 50 ბენეფიციარის წლის განმავლობაში ყოველდღიურად მისაღები სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფას. 2017 წლის პროგრამაში ჩაერთო 1219 ბენეფიციარი, სულ გაიხარჯა 151700 ლარი ანუ ჯანდაცვის სფეროს ხარჯების 34,2% , წლიური გეგმის ათვისება შეადგენს 79,8 %. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2017 წლის დაუფინანსებელი ვალდებულების დაფინანსება (გამოწვეული იყო საბიუჯეტო წლის ბოლოს ხაზინის შეფერხებით) 22 545 ლარის ოდენობით განხორციელდა 2018 წელს.

➤ პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა, როგორც ცნობილია ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 12 ჯანდაცვის ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი კომინალური ხარჯების დაფარვას და ამავე დაწესებულებაში დასაქმებული 33 ერთეული ექიმისათვის ე.წ. „ექიმის ჩანთის“ შესავსებად მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შეძენას. აღნიშნული პროგრამით სულ გაიხარჯა 13195 ლარი, რაც ჯანდაცვის სფეროს ხარჯების 3% -ია, წლიური გეგმის ათვისება შეადგენს 99%.

➤ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფი პროგრამით პროგრამაში ჩაერთო 5 ბენეფიციარი და დაიხარჯა -7000 ლარი- ჯანდაცვის სფეროს ხარჯების 1,6% , წლიური გეგმის ათვისება შეადგენს 100%.

➤ გულის ქირურგიის თანადაფინანსების პროგრამა, როგორც ცნობილია ითვალისწინებს მატერიალურ დახმარებას კარდიოქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებისათვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო სულ 21 ბენეფიციარი. გაიხარჯა ჯანდაცვის სფეროს ხარჯების 6,4 % ანუ 28355 ლარი; ხოლო წლიური დაგეგმილი თანხების ათვისება შეადგენს 76,5%-ს. 2017 წლის დაუფინანსებელი ვალდებულების დაფინანსება (გამოწვეული იყო საბიუჯეტო წლის ბოლოს ხაზინის შეფერხებით) 5520 ლარის ოდენობით განხორციელდა 2018 წელს.

➤ „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება“ ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში 46 მედდაზე გაიცა ხელფასი 88 875 ლარი, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდა 13 255 ლარის ღირებულების პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი. 2017 წელს დაფინანსდა 98 804 ლარი, 2017 წლის დაუფინანსებელი ვალდებულების დაფინანსება 3 301 ლარის ოდენობით განხორციელდა 2018 წლის იანვარში. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების

პროგრამით გაიხარჯა ჯანდაცვის სფეროს ფაქტიური ხარჯის 22,2 %, ხოლო წლიური დაგეგმილი თანხის ათვისებამ შეადგინა 75%;

➤ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის“ ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას პაციენტების ადგილზე მომსახურების მიზნით. პროგრამა ამოქმედდა სექტემბრის თვიდან, აღნიშნულ პერიოდში მომსახურება გაეწია 460 ბენეფიციარს. მათი მომსახურების ხარჯი 2017წელს დაფინანსდა 19 350 ლარით, 2017 წლის დაუფინანსებელი ვალდებულების დაფარვა 6450 ლარის ოდენობით განხორციელდა 2018 წლის იანვარში . თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა სფეროს 4,4% .წლიური გეგმის ათვისებაა 75%.

• დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროში სულ გაიხარჯა 1 827 281 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 5,2 %. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 95,6%. განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები როგორცაა:

- დაბა ჩაქვში (აჭარის ქუჩაზე და აღმაშენებლის N38-ის მიმდებარედ) არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - პროექტის განხორციელებაზე დაიხარჯა 94 836 ლარი, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა დაბა ჩაქვში, აჭარის ქუჩაზე და აღმაშენებლის N38-ის მიმდებარედ მოედნებს: შემოიღობა; მოეწყო ხელოვნური მწვანე საფარი და გარე განათება.
- განხორციელდა სოფელ ქაქუთში სტადიონის მოწყობის სამუშაოები თანხით 39138 ლარი. განხორციელდა სტადიონის შემოღობვისა და ნაწილობრივ ბუნებრივი მწვანე საფარის შეცვლის სამუშაოები.
- ქ.ქობულეთში, ჩოლოქის დასახლებაში არსებული სათამაშო მოედნისა და არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციისათვის გაიხარჯა 20111 ლარი, რომლის ფარგლებში მოხდა არსებულ მოედნის შემოღობვა და ბავშვთა სათამაშო მოედანზე ხელოვნური საფარის შეცვლა;
- სოფელ გვარაში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციისათვის გაიხარჯა- 81 481 ლარი. მოხდა არსებული სპორტული მოედნის გაფართოება, შეიცვალა სექციები; მოეწყო ახალი ხელოვნური საფარი და დამონტაჟდა განათების სისტემა.
- განხორციელდა სოფელ საჩინოში და ზედა აჭყვაში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია- 54 460 ლარი. მოხდა არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია: სექციების შეცვლა, ახალი ხელოვნური საფარის და განათების სისტემის მოწყობა.
- სოფელ ხალაში სპორტული მოედნის მოწყობის ფარგლებში განხორციელდა ახალი სპორტული მოედნის მოწყობა : შემოიღობა, მოეწყო ხელოვნური საფარი და დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, რომელზედაც დაიხარჯა 45 754 ლარი.
- სოფელ ქობულეთში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციისათვის გაიხარჯა 85700 ლარი. მოხდა არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სპორტული მოედნის გაფართოება, შეიცვალა სექციები; მოეწყო ახალი ხელოვნური საფარი და დამონტაჟდა განათების სისტემა.
- ქ.ქობულეთში, გელაურის დასახლება, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის სულ დაიხარჯა -85 333 ლარი, მოეწყო ახალი სპორტული მოედანი, რომელიც შემოიღობა, მოეწყო ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდა განათების სისტემა.
- განხორციელდა სოფელ შუაღელში სპორტული მოედნის მოწყობა 43042 ლარი, მოეწყო ახალი სპორტული მოედანი, რომელიც შემოიღობა, მოეწყო ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდა განათების სისტემა.

- კულტურული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით დახარჯულმა თანხებმა 108915 ლარი შეადგინა. აღნიშნული სფეროს ფაქტიური ხარჯების 5,9%, ათვისებამ შეადგინა წლიური დაგეგმილი თანხის 91%. 2017 წლის დაუფინანსებელი ვალდებულება 12360 ლარის ოდენობით დაფინანსდა 2018 წელში. (დანართის სახით წარმოდგენილია ღონისძიებების დეტალური აღწერა და ბიუჯეტი).

აღნიშნული სფეროს ხარჯები მოიცავს აგრეთვე სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამის, ა(ა)იპ „ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთის“, ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის“, ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“, გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრულის", ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის ადმინისტრაციულ ხარჯებს, ხოლო შპს საფეხბურთო კლუბი „შუქურას“ ხარჯებს ფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში.

- განათლების სფეროში გაიხარჯა სულ 4753273 ლარი; მთლიანი საბიუჯეტო ფაქტიური ხარჯის 13,6%. წლიური დაგეგმილი თანხების ათვისება შეადგენს 94,5% პროცენტს. აღნიშნულ სფეროში გახარჯული თანხების 51% მოდის ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხარჯებზე, ხოლო 35% განათლების სფეროს ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე. კერძოდ:

- სოფელ აჭყვისთავში აშენდა ახალი თანამედროვე ტიპის 2 სართულიანი საბავშვო ბაღი, რომლის სახელმშეკრულებო ღირებულებაც 659873 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები: ბაღის ეზო მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით და მწვანე ზოლით, განთავსდა საბავშვო ატრაქციონები. 2017 წელს ამ მიზნით გაიხარჯა 599 873 ლარი. ბაღი გათვლილია 70 სკოლამდელ აღსაზრდელზე. სამუშაოები დასრულდა 2018 წელს, რისთვისაც გამოყოფილია 60000 ლარი.

- სოფ. ჩაისუბანში (105 ბავშვზე - 2 სართულიანი შენობის მოწყობა) მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. პროექტის ღირებულება შეადგენს 381668 ლარს. 2017 წელს ამ მიზნით გაიხარჯა 345581 ლარი; ხოლო 2018 წლისათვის გამოყოფილია 36087 ლარი;

- განხორციელდა ქ. ქობულეთში ფაქტობრივად არსებული საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები თანხით 149658 ლარი, პროექტის ფარგლებში მოეწყო ბაღის ეზოში დეკორატიული ფილები; მწვანე ზოლი და საბავშვო ატრაქციონები, ასევე განხორციელდა შემოღობვაც.

- სოფელ წყავროკაში ახალი საბავშვო ბაღის მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწობა თანამედროვე ტიპის 2 სართულიანი საბავშვო ბაღი, (105 ბავშვზე). ასევე განხორციელდა ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. 2017 წელს ჩატარებულია დემონტაჟის და მონტაჟის სამუშაოები; მოეწყო შენობის საძირკველი; დაისხა ნულოვანი ფილა. ასევე მოეწყო სანიაღვრე სისტემა და ფერდსამაგრი კედელი. 2017 წლის ღირებულება განსაზღვრული იყო და დაფინანსდა 130 000 ლარი. ხოლო 2018 წლისათვის დაგეგმილია პროექტის დასრულება და დაიხარჯება 620080 ლარი.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაღებში (სულ 22 ერთეული) (სამზარეულოს და პროდუქტების შესანახი სათავსოს) სარემონტო სამუშაოები - 90 508 ლარი, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 22 ბაღში არსებულ სამზარეულოს და პროდუქტების შესანახის სათავსოებს.

- განხორციელდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები თანხით 142401 ლარი, რომლის ფარგლებში

განხორციელდა ბაღის ეზოში დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოები; მოეწყო მწვანე ზოლი და განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, ასევე შემოიღობა.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობისათვის დახარჯულია 106086 ლარი, რომლის ფარგლებში ბაღის ეზოში მოეწყო დეკორატიული ფილები; მწვანე ზოლი და განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, ასევე შემოიღობა.

➤ დასრულდა სოფელ დაგვას საბავშვო ბაღის მოწყობის გარდამავალი 2016-2017 წწ. პროექტი, სამუშაოები დასრულდა 2017 წელს. შესრულებული სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 355189 ლარი. მ/შორის 2017 წლის დაფინანსებაა 49006 ლარი. მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 2 სართულიანი, 70 ადსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი.

შედეგი: ზემოაღნიშნულმა ინფრასტრუქტურული პროექტებმა დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყო სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებების გატარება.

- სოციალური დაცვის სფეროს ხარჯმა შეადგინა 790286 ლარი, ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 2,3 %. აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების ათვისებამ შეადგინა 94,9%.

სულ აღნიშნული მიმართულებით მოქმედებდა შემდეგი პროგრამები:

